ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 272

“19” ივნისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. №12-ში მდებარე №163 ბინის და №164 ბინის (საკადასტრო კოდები: №01.14.14.005.197.01.03.163; №01.14.14.005.197.01.03.164) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. №12-ში მდებარე №163 ბინის და №164 ბინის (საკადასტრო კოდები: №01.14.14.005.197.01.03.163; №01.14.14.005.197.01.03.164) *პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების* თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 14 მაისის №25.776.881 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. №12-ში, ბლოკი „ც“-ს პირველ საცხოვრებელ სართულზე მდებარე 44 კვ.მ. ფართობის №163 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.197.01.03.163) და ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. №12-ში, ბლოკი „ც“-ს პირველ საცხოვრებელ სართულზე მდებარე 44 კვ.მ. ფართობის №164 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.197.01.03.164) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით მაია ყიფშიძესთვის (პ/ნ. 01008003969), გიორგი ყიფშიძესთვის (პ/ნ. 01031006072) და ზვიად ყიფშიძესთვის (პ/ნ. 01031006071) თანასაკუთრებაში გადაცემაზე, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე *სიმბოლურ ფასად* - 1 (ერთი) ლარად, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე